

დავით არსენიშვილი

1905 წლის 11 იანვარს დაბა ტყიბულში ილია არსენიშვილსა და პრისკილე აბზიან-იძეს ვაჟი დავითი შეეძინათ, იგი 1913 წელს ჯერ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში ჩაირიცხა, მოგვიანებით კი სწავლობდა გაგრის, ბაქოსა და თბილისის სკოლებში.

1921-1923 წლებში განათლება მიიღო თბილისის ინდუსტრიულ ტექნიკუმში.

1922 წელს დაამთავრა მოსკოვის სამხატვრო თეატრის დრამატული სტუდია მსახიობ მ. ლ. როქსანოვას ხელმძღვანელობით. 1923 წლიდან კი როგორც რეჟისორმა მუშაობა დაიწყო პროლეტკულტის ქართულ სექტორში. ამავე პერიოდში, 1921-1923 წლებში დავით არსენიშვილი აქტიურად თანამშრომლობდა ვახუშტის „ტრიბუნასთან“.

1924-27 წლებში იგი თბილისის თანამედროვე თეატრ-სტუდიის სამეცნიერო ნაწილის ხელმძღვანელია და თეატრის ისტორიის შესახებ ლექციებსაც კითხულობდა.

დავით არსენიშვილი თავის ავტობიოგრაფიაში საგანგებოდ აღნიშნავს: „სტუდიაში მუშაობის პერიოდში დავიწყე ქართული თეატრის ისტორიის შესწავლა. ამის შედეგია 1927 წელს სამხატვრო მეცნიერებათა სახელმწიფო აკადემიის თეატრის სექციაზე წაკითხული ნაშრომი, რომელსაც ა. ა. ბახრუშინი თავმჯდომარეობდა“.

1927 წელს დავით არსენიშვილის ცხოვრებაში გარდამტეხი მნიშვნელობა ჰქონდა. სწორედ ამ წელს მის მიერ შეგროვებული უნიკალური საარქივო დოკუმენტებისა თუ სხვა ექსპონატების ბაზაზე თეატრალური გამოფენა გაიხსნა, რამაც ამიერკავკასიაში პირველ სათეატრო მუზეუმს დაუდო საფუძველი.

1922 წელს ცნობილმა თეატრალმა ქალბატონმა, ელენე სუხოდოლსკაიამ (ჭავჭავაძე), მოსკოვში კოტე მარჯანიშვილის მიერ დაარსებული „თავისუფალი თეატრის“ ფარდა საქართველოს უსახსოვრა. დავით არსენიშვილმა უნიკალური ხელოვნების ნიმუშის სამშობლოში ჩამოსატანად უამრავი დაბრკოლება გადალახა. საბჭოთა ჩინოვნიკთა გამმაგებული წინააღმდეგობის მიუხედავად, უძვირფასესი ექსპონატი მოსკოვიდან თბილისში საკუთარი ხელით ჩამოიტანა.

დ. არსენიშვილს ქართული კულტურის ისტორიისთვის თეატრალური მუზეუმის მნიშვნელობა შესანიშნავად ესმოდა. სტუდიაში სწავლის დროს თეატრალური მუზეუმის შექმნის იდეამ იმდენად გაიტაცა, რომ გარშემო სტუდიის მოსწავლე-ახალგაზრდობა შემოიკრიბა, რომელთა შორის იყვნენ: ნინო ვოლკოვა, (შემდეგში ლადო გუდიაშვილის მეუღლე), ბორის ჩეჩელაშვილი, შოთა ტურაბელიძე (მოგვიანებით მოსკოვის ე. ვახტანგოვის თეატრის რეჟისორის ასისტენტი), ნინო და ალიოშა დუმბაძეები და მათთან ერთად ნეკრასოვისა და კლარა ცეტკინის ქუჩების კუთხეში მდებარე სასტუმროს „ეაუ ონდე“ ნახევრად სარდაფში სათეატრო მუზეუმის შექმნაზე მუშაობა დაიწყო. მომავალი მუზეუმისთვის თანხის მოსაზიდად დავითმა თეატრალური დადგმების განხორციელება გადაწყვიტა და ძველი ცირკის მრგვალი, ხისგან ნაშენ შენობაში ა. გრიბოედოვის პიესის, „ქართული ღამის“ დადგმა განახორციელა.

მუზეუმის პირველ ექსპონატებს შორის იყო ა. სუმბათაშვილის ხელმძღვანელობით შექმნილი ოპერა „დალატის“ ლიბრეტო, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას, გრიგოლ ორბელიანის, იაკობ გოგებაშვილის, ივანე მაჩაბლის, ეკატერინე გაბაშვილის და სხვათა ხელნაწერები. მუზეუმში მან თავი მოუყარა ძვირფას ქართულ თეატრალურ კოსტუმებს, მემორიალურ ნივთებს, მათ შორის ისეთ იშვიათ ექსპონატებს როგორებიცაა: დიმიტრი ყიფიანის ნესესრი, მარიონეტების თეატრის მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ძველი ფიგურის „ვაიანგის“ XIX საუკუნის ნიმუში. ქართული და კავკასიური დასების უნიკალურ ფოტოებს. სამუზეუმო ფონდის ქართული ნაწილი ისეთ გამოჩენილ მოღვაწეებთან დაკავშირებული მასალით იყო წარმოდგენილი, როგორებიც არიან: პირველი ქართველი დრამატურგი გიორგი ერისთავი, ცნობილი მსახიობები ვასო აბაშიძე და ლადო ალექსი-მესხიშვილი. აღსანიშნავია ისიც, რომ რუსულმა, აზერბაიჯანულმა და სომხურმა თეატრებმა დიდი ისტორიული მნიშვნელობის თეატრალური ნივთები მუზეუმს საჩუქრად გადასცეს.

1929 წელს სათეატრო მუზეუმმა გამოაქვეყნა „გრიბოედოვი საქართველოში“ მოამზადა, რომელიც ბაქოსა და ერევანშიც გაიტანეს. დ. არსენიშვილის ინიციატივით ექსპოზიცია მუდმივმოქმედ გამოფენად გადაიქცა და ა. ს. გრიბოედოვის საფლავის გვერდით მდებარე შენობაში განთავსდა. მოგვიანებით ამ გამოფენის საფუძველზე საქართველოს ლიტერატურის მუზეუმი დაარსდა.

სათეატრო მუზეუმში დაცული მასალა საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობდა, ექსპონატები გამოფენილი იყო კიოლოში, ბერლინში, მიუნხენში, პარიზში, ლონდონში, რომსა და ნიუ-იორკში.

1935 წლის 19 მარტს, შეთითხნილი ბრალდებით „ქალაქ ბაქოში ხანგრძლივი დროის განმავლობაში თვითნებურად და დაუკითხავად გამგზავრების“ გამო, არსენიშვილი სათეატრო მუზეუმის დირექტორის თანამდებობიდან ისე გაათავისუფლეს, რომ მის მიერ დაარსებულ მუზეუმში ბოლო პერიოდამდე მის შესახებ კონკრეტულად არავინ არაფერი იცოდა, მხოლოდ ის სმენოდათ, რომ ოდესღაც მუზეუმს „ვილაც დირექტორი“ ჰყავდა.

სათეატრო მუზეუმის დირექტორის თანამდებობიდან გაათავისუფლების შემდეგ, 1936-1938 წლებში დავით არსენიშვილი მოსკოვის სამხატვრო თეატრთან არსებულ კ. სტანისლავსკის სახელობის სტუდიაში სწავლობდა.

1938-42 წლებში ხელშეკრულებით მუშაობდა თბილისსა და მოსკოვში სხვადასხვა დანესებულებებში (მუზეუმები, გამოფენები) სამხატვრო გამფორმებელად. არსენიშვილი დასაღუპად განწირული ქართული კულტურის ძეგლების გადარჩენისთვის აქტიურ ბრძოლას განაგრძობდა. მისი თაოსნობითა და დახმარებით, ანჩისხატის სახელოვანი ტაძარი დანგრევას გადაურჩა. მეცნიერი საყდარში შევიდა და განაცხადა, რომ ძეგლის აფეთქების შემთხვევაში ეკლესიის კედლებს არ დატოვებდა. დავით არსენიშვილი მონაწილეობდა ყოფილ კომკავშირის ხეივანში, ნარიყალასთან ახლოს, თბილისის მუზეუმის დაარსებაში, მტკვრის სანაპიროზე მდებარე როსტომ მეფის სასახლისა და თოფხანის განმენდასა და რესტავრაციაში, ახლო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქთან კალისტრატე ცინცაძესთან, რომელსაც ხუროთმოძღვრების ძეგლების და საეკლესიო სიძველეთა გადარჩენასა და მოვლაში ეხმარებოდა.

1941 წელს მუშაობდა თბილისის არქიტექტურის ძეგლების ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვაში. პარალელურად, საზოგადოებრივ საწყისებზე ქმნიდა „სამხატვრო სალონს“, რომელიც 1944 წელს გაიხსნა.

1948-1950 წლებში დ. არსენიშვილი ორგზის აირჩიეს ქ. თბილისის 183 საარჩევნო ოლქის დეპუტატად. დაჯილდოვებული იყო მედლებით: „შრომითი მამაცობისთვის“ და „კავკასიის დაცვისთვის“.

1949 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ მოსკოვის ანდრონიკეს მონასტრის თეთრი ქვით ნაშენი მაცხოვრის ტაძრის შენობაში უდიდესი რუსი ხატმწერის, ანდრეი რუბლიოვის სახელობის მუზეუმის დასაარსებლად დ. არსენიშვილი მოსკოვში გადაიყვანა. დავითმა გაპარტახებული მონასტრის ტერიტორიაზე მუზეუმის შექმნა ორ თანამშრომელთან ერთად დაიწყო, რუსული კულტურის არაერთი შედეგრი სამუდამო დაღუპვისგან გადაარჩინა და ათი წლის შემდეგ ქვეყანას დღეს უკვე მთელს მსოფლიოში ცნობილი ბიზანტიური და რუსული ქრისტიანული კულტურის უმნიშვნელოვანესი ცენტრი – ანდრეი რუბლიოვის სახელობის ძველი რუსული ხელოვნების მუზეუმი მოუვლინა. აქ დანგრეულ ეკლესიებში დასაღუპად განწირულ ხელოვნების ათასობით უნიკალური ნიმუში ინახება, მათ შორის – ანდრეი რუბლიოვისა და მისი წრის ოსტატთა – დანიელ ჩორნის, პროხორ გოროდცელის და დიონისის შედეგები.

დ. არსენიშვილს მოსკოვში მუშაობის ათი წლის განმავლობაში საქართველოსა და ქართულ კულტურაზე ზრუნვა არასდროს შეუნწყვეტია. მოსკოვში ჩასვლის პირველივე დღეებიდან ამ რუსულ-ქართულ პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობათა შესწავლა დაიხატა მიზნად. კვლევას მოსკოვსა და სხვა არქივებში დაცული ისტორიული წყაროები – ქრონიკები და დოკუმენტები დაედო საფუძვლად.

1954 წელს დ. არსენიშვილმა რუსულ-ქართული ურთიერთობებისა და XVII-XVIII საუკუნეების მოსკოვის ქართული კოლონიის ისტორიის ამსახველი გამოფენის მონაწილეობის საკითხი წამოჭრა. ეს გამოფენა მოსკოვში ქართველ ლიტერატორთა და საზოგადო მოღვაწეთა განსახვედრებელ, დონის მონასტრის უფლის მირქმის სახელობის ეკლესიაში გაიხსნა. მასზე წარმოდგენილი იყო პეტრე I-ისა და ვახტანგ VI-ის, პეტრე I-ის თანამებრძოლ ალექსანდრე ბატონიშვილის, დიდი ქართველი მწერლისა და დიპლომატის, „პუშკარსკი პრიკაზის“ ფელდციხმესიტერ საბა ორბელიანისა და გენიალური ქართველი პოეტის, დავით გურამიშვილის პორტრეტებიდან შესრულებული ფოტოსურათები. გამოფენის ორგანიზატორის მიერ შესანიშნავად შერჩეულ მასალას ძალზე ბუნებრივად ერწყმოდა ქართველ მოღვაწეთა საფლა-

ვის ფილებს წარწერები.

იმავე წელს, დავითმა სსრკ-ის კულტურის სამინისტროსთან არსებული ისტორიისა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის სახელმწიფო ინსპექციას ქ. ასტრახანის კრემლში დაკრძალული საქართველოს მეფეების, ვახტანგ VI-ისა და თეიმურაზ II-ის სამარხების საკავშირო ძეგლთა სიაში შეტანისა და მათი საფლავებიდან დაკარგული მემორიალური დაფების აღდგენის მოთხოვნის წერილით მიმართა. წერილის საფუძველზე ასტრახანის კრემლის მიძინების ტაძარში, არსენიშვილის ხელმძღვანელობით გამოჩენილ ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა სამარხების წინასწარი გათხრები ჩატარდა.

1955 წელს, დავითმა პეტერბურგში ბაგრატიონების სამეფო გვარის წარმომადგენელთა და პეტერბურგის ქართული კოლონიის სხვა წევრთა საფლავებიც მოიძია. ალექსანდრე ნეველის ლავრაში ეპიტაფიათა ნუსხა შეადგინა და დაკარგული საფლავების რაოდენობის დასადგენად XIX საუკუნის მონაცემები რუსეთის სიძველეთა მკვლევარ ზაბელინის მონაცემებს შეადარა...

რუსეთის არქივებსა და წიგნთსაცავებში მუშაობის დროს დავითმა, რუსულ-ქართულ პოლიტიკურ ურთიერთობათა ამსახველი დოკუმენტების გარდა, ქართველ მოღვაწეთა მანამდე უცნობი ბიოგრაფიული ცნობებიც გამოავლინა. მის მიერ ლენინგრადის ისტორიულ არქივში ნაპოვნი დოკუმენტები აკაკი წერეთლის ბიოგრაფიის მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავენ.

1959 წელს საბჭოთა ნომენკლატურა დ. არსენიშვილს კვლავ დაუნდობლად მოექცა. ანდრეი რუბლიოვის სახელობის მუზეუმის ოფიციალურ გახსნამდე რამდენიმე თვით ადრე, საბჭოთა ბიუროკრატიული აპარატის მუშაკთა უმეცრებისა და ინტრიგების გამო, მძიმედ დაავადებული დავით არსენიშვილი მუზეუმის დირექტორის თანამდებობიდან გაათავისუფლეს. 1960 წელს ანდრეი რუბლიოვის სახელობის ძველი რუსული ხელოვნების მუზეუმის საზეიმო გახსნას დავითი, როგორც კერძო პირი, ისე ესწრებოდა... „...მომავალ კვირას ჩემი მუზეუმი იხსნება. რაც არ უნდა მოხდეს, ის მაინც ჩემია და მარადღუამს ჩემი იქნება“, – წერდა გულდანყვეტილი დავითი ახლობელს.

1963 წლის შემოდგომაზე თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში იატაკის მოხეხვა და მასტიკის წასმა განიზრახეს. ბრონქიალური ასთმით მძიმედ დაავადებული პაციენტი დამლაგებელს ევედრებოდა, მის პალატაში მასტიკა არ წაესვათ. „პალატის ექიმთან მიდით, მან მიბრძანოს“, – ისმის პასუხად. ავადმყოფი ექიმს მიმართავს, პასუხი იგივეა: „მთავარ ექიმთან მიბრძანდით, ბრძანება მან უნდა გასცეს!“ პაციენტი მთავარ ექიმთან მიდის – „ასეა საჭირო“...

მეორე დღეს ავადმყოფი ბრონქიალური ასთმის უმძიმესი შეტევით გარდაიცვალა...

გამოყენებული ლიტერატურა:

ნ. ზ. ვაჩნაძე „დ. ი. არსენიშვილი – ესკიზები შემოქმედებითი პორტრეტისთვის“. ქართული თარგმანი ნ. მანჯავიძე. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი. დ. არსენიშვილის ფონდი.

დავით ილიას ქა არსენიშვილის პირადი საარქივო ფონდი

ფოტომასალა

1. დავით არსენიშვილის მამა ილია არსენიშვილი.
უთარილო. 9X5. ფოტოასლი.
2. დავით არსენიშვილის დედა პრისკილე აბზიანიძე-არსენიშვილისა.
უთარილო. 16,5X10,5. დედანი.
- 2/1. დავით არსენიშვილის დედა პრისკილე აბზიანიძე-არსენიშვილისა.
უთარილო. 17X11,5. ფოტოასლი.
3. დავით არსენიშვილის მამა ილია არსენიშვილი
1912წ. 9X14. მარჯვენა მხარეს აქვს მემორიალური წარწერა: „სასიკეთო სანახსოვრო ძვირფას დას ღიზას ილიკოსაგან. 1912 წ. ივნისის 16 დღესა“. დედანი.
4. სოფიო ძონენიძე-აბზიანიძისა, ტარასი სარდიონის ძე აბზიანიძის მეუღლე. ფოტოგრაფი ი. ს. ზელინსკი.
უთარილო. 16X11. დედანი.
- 4/1. სოფიო ძონენიძე-აბზიანიძისა, ტარასი აბზიანიძის მეუღლე. ფოტოგრაფი ი. ს. ზელინსკი.
უთარილო. 16X11. ფოტოასლი.
5. სოფიო ძონენიძე-აბზიანიძე, ტარასი სარდიონის ძე აბზიანიძის მეუღლე. რუსული ფოტოგრაფია. ფოტო ბ. გრაბიაჟი.
უთარილო. ოდესა. 16X11. დედანი.
6. ილია არსენიშვილის ძმა (იერონიმი) ერონიმი, მეუღლე ოლღასთან ერთად. ფოტოგრაფი ედუარდ კლარი.
1905 წ. უკან მემორიალური წარწერა: „წარსულის მოსაგონად და ანმცოს ძეგლად ვუძღვნით ჩვენ სურათს საყვარელ ძმას ილიკოს მეუღლითურთ ილია და იერონიმე“. 24. 04.1905. 17X11. დედანი.
- 6/1. ილია არსენიშვილის ძმა ერონიმი (იერონიმი), მეუღლე ოლღასთან ერთად. მემორიალური წარწერის გარეშე გადიდებული.
უთარილო. 11X17. ფოტოასლი.
7. დავით არსენიშვილი და მარგარიტა ილიას ასული არსენიშვილი ბავშვობის ასაკში.
უთარილო. ქ. ქუთაისში, ა. მიხაილოვის სახელოსნო. 11X6,5. დედანი.
- 7/1. დავით და მარგარიტა არსენიშვილი ბავშვობის ასაკში.
უთარილო. ქ. ქუთაისი, ა. მიხაილოვის სახელოსნო. 12X9. ფოტოასლი.
8. დავით არსენიშვილის დედის ძმა ზოსიმე აბზიანიძე მეუღლით.
უთარილო. 16X11. დედანი.
- 8/1. დავით არსენიშვილის დედის ძმა ზოსიმე აბზიანიძე მეუღლით.
უთარილო. 18X12. ფოტოასლი.
9. ვერა აბზიანიძე ძაგნიძისა მეუღლით და შვილით.
უთარილო. ბაქო. 16X11. დედანი.
- 9/1. ვერა აბზიანიძე-ძაგნიძისა მეუღლით და შვილით.
უთარილო. ქ. ბაქო. 17X12. ფოტოასლი.
10. ნინო აბზიანიძე-ნაკაშიძისა, ოჯახთან ერთად.
1898 წ. 15. V. 10X16. დედანი.

- 10/1. ნინო აბზიანიძე-ნაკაშიძისა, ოჯახთან ერთად.
1898 წ. 15. V. 12X17. ფოტოასლი.
11. კირილე აბზიანიძე მეუღლესათან ერთად (პოლონური წარმოშობის). რუსი ფოტოგრაფი ბ. გრაბიაჟი.
1898 წ. ქ. ოდესა. 6X11. დედანი.
- 11/1. კირილე აბზიანიძე მეუღლესათან ერთად (პოლონური წარმოშობის). რუსი ფოტოგრაფი ბ. გრაბიაჟი.
1898 წ. ქ. ოდესა. 16X11. დედანი.
- 11/2. კირილე აბზიანიძე მეუღლესათან ერთად (პოლონური წარმოშობის). რუსი ფოტოგრაფი ბ. გრაბიაჟი
1898 წ. ქ. ოდესა. 17,5X12 ფიტოასლი.
- 11/3 კირილე აბზიანიძე მეუღლესათან ერთად (პოლონური წარმოშობის). რუსი ფოტოგრაფი ბ. გრაბიაჟი.
1898 წ. ქ. ოდესა. 13X8,5. ფოტოასლი.
12. ილია არსენიშვილი, პრისკილე აბზიანიძე. ბავშვები: ილია არსენიშვილი (ცენტრში), თამარი (მარჯვნივ), ქსენია (მარცხნივ), ალექსანდრე და მარგარიტა.
1930 წ. დეკემბერი. ქ. ქუთაისი, ა. მიხაილოვის სახელოსნო. 8,5X13. ფოტოასლი.
13. დავით არსენიშვილი 15 წლის ასაკში.
1920 წ. 16,5X10. ფოტოასლი.
14. დავით არსენიშვილი 15 წლის ასაკში. უკან მინანური „დაბ. 15 წლის. 1920 წელი დავ. არსენიშვილი“.
[1920 წ.]. 6X3,5. დედანი.
15. დავით არსენიშვილის პორტრეტი.
1924 წ. უკანა მხარეს არსენიშვილის ავტოგრაფი: „ძამია აჩიკიას დათიკოსაგან. თბილისი 1924 წ. 7 სექტემბერი.“ 5,5X4. დედანი.
16. დავით არსენიშვილი (მარჯვნივ) ბიძაშვილთან და თანამებრძოლთან კონსტანტინე (კოტიკო) არსენიშვილთან ერთად.
[1923 წ.]. 6X9. დედანი.
17. დავით არსენიშვილის ბიძაშვილი და უახლოესი მეგობარი კონსტანტინე იერომონის ძე არსენიშვილი.
უთარილო. 15X11,5 ფიტოასლი.
18. დავით არსენიშვილი თბილისში.
უთარილო. 7. IX. 1924. წ. 6X10. ფოტოასლი.
19. დავით არსენიშვილი.
[1930-იანი წლები]. 12,5X8,5. ფოტოასლი.
20. დავით არსენიშვილი (ცენტრში), იეთიმ გურჯი (მარცხნივ), იოსებ იმედაშვილი (მარჯვნივ).
[1930-იანი წლები]. 12X17. ფოტოასლი.
21. დავით არსენიშვილი (ცენტრში), იეთიმ გურჯი (მარცხნივ), იოსებ იმედაშვილი (მარჯვნივ).
[1930-იანი წლები]. 12X17. ფოტოასლი.
22. დავით არსენიშვილი (მაჯვნივ) კომპოზიტორ ანდრია ბალანჩივაძესთან ერთად.
1923 წ. ქ. ბათუმი. ზღვისპირა პარკი. 9X6,5. დედანი.
23. დავით არსენიშვილი (მაჯვნივ) კომპოზიტორ ანდრია ბალანჩივაძესთან ერთად.

1923 წ. ქ. ბათუმი. ზღვისპირა პარკი 13X9,5. ფოტოასლი.

24. საქართველოს სათეატრო მუზეუმის დამაარსებელთა ჯგუფური ფოტო. ცენტრში: დავით არსენიშვილი, მარცხნიდან მარჯვნივ: ანა ანდლულაძე, ნინო მგელაძე-გუდიაშვილი, ანტონინა დუმბაძე, შალვა ზონენაშვილი, ბორის ჩეჩელაშვილი.
1927 წ. 21X15,5. დედანი.

25. საქართველოს სათეატრო მუზეუმის დამაარსებელთა ჯგუფური ფოტო. ცენტრში: დავით არსენიშვილი, მარცხნიდან მარჯვნივ: ანა ანდლულაძე, ნინო მგელაძე-გუდიაშვილი, ანტონინა დუმბაძე, შალვა ზონენაშვილი, ბორის ჩეჩელაშვილი.
1927 წ. 11X17. ფოტოასლი.

26. საქართველოს სათეატრო მუზეუმის საგამოფენო დარბაზი. ა. გრიბოედოვისადმი მიძღვნილი ექსპოზიცია. მარჯვენა მხარეს – სათვალთ დავით არსენიშვილი. მარცხნივ – ივანე კონსტანტინეს ძე ენიკოლოპოვი მეუღლესთან ეკატერინე გრიგორის ასულ ხუდალოვასთან ერთად. ცენტრში – თბილისის მასწავლებელთა სახლის დირექტორი.
1928 წ. სექტემბერი. 3,5X19. ფოტოასლი.

27. საქართველო სათეატრო მუზეუმის საგამოფენო დარბაზი. ა. გრიბოედოვისადმი მიძღვნილი ექსპოზიცია. მარჯვენა მხარეს სათვალთ – დავით არსენიშვილი. მარცხნივ – ივანე კონსტანტინეს ძე ენიკოლოპოვი მეუღლესთან ეკატერინე გრიგორის ასულ ხუდალოვასთან ერთად. ცენტრში – თბილისის მასწავლებელთა სახლის დირექტორი.
1928 წ. სექტემბერი. 13,5X19. ფოტოასლი.

28. საქართველოს სათეატრო მუზეუმის საგამოფენო დარბაზი. ა. გრიბოედოვისადმი მიძღვნილი ექსპოზიცია. მარჯვენა მხარეს სათვალთ – დავით არსენიშვილი. მარცხნივ – ივანე კონსტანტინეს ძე ენიკოლოპოვი მეუღლესთან ეკატერინე გრიგორის ასულ ხუდალოვასთან ერთად. ცენტრში – თბილისის მასწავლებელთა სახლის დირექტორი.
1928 წ. სექტემბერი. 13,5X19. დედანი.

29. ა. გრიბოედოვისადმი მიძღვნილი გამოფენა. სხედან: ალექსიძე-კარგანოვა. დგანან: დ. არსენიშვილი და ე. ენიკოლოპოვა. გ. ხატელის ფოტო.
1929 წ. 17,5X12,5. დედანი.

30. ა. გრიბოედოვისადმი მიძღვნილი გამოფენა. სხედან: ალექსიძე-კარგანოვა. დგანან: დ. არსენიშვილი და ე. ენიკოლოპოვა. გ. ხატელის ფოტო.
1929 წ. 17,5X12,5. დედანი.

31. საქართველოს სათეატრო მუზეუმში ა. გრიბოედოვისადმი მიძღვნილი გამოფენის აფიშა.
უთარილო. 12X9. ასლი.

32. დავით არსენიშვილი ჩამომჯდარი ლოგინზე. ზის მარცხენა მხარეს.
უთარილო. 8,5X11,5. დედანი.

33. დავით არსენიშვილი ეტლზე. კურორტი წყალტუბო.
1930 წ. 9X14. დედანი.

34. დავით არსენიშვილი თეატრალურ ფიგურასთან ერთად.
უთარილო. 16,5X11,5. დედანი.

35. დავით არსენიშვილი თეატრალურ ფიგურასთან ერთად.
უთარილო. 17X12. დედანი.

36. დავით არსენიშვილის პორტრეტი.
უთარილო. 15X11. ფოტოასლი, რეტუშირებული.

37. დავით არსენიშვილი (ზის მარჯვნიდან პირველი) მეგობრებთან ერთად. მარჯვნივ პირველი დგას ლადო გუდიაშვილი. დგას მარცხნიდან პირველი პაოლო იაშვილი.
1930 წ. 8 ივნისი. თბილისი, პუშკინის სახელობის ბაღი. 18X14. დედანი.

38. დავით არსენიშვილი სიტყვით გამოსვლის დროს საბჭოთა ფლოტის მეზღვაურების წინაშე.
[1930-იანი წლები]. 8,5X12,5. დედანი.
39. დავით არსენიშვილი სიტყვით გამოსვლის დროს საბჭოთა ფლოტის მეზღვაურების წინაშე.
[1930-იანი წლები]. 12,5X7. დედანი.
40. დავით არსენიშვილის პორტრეტი.
უთარილო. მარჯვენა ქვედა კუთხეში მინანქრით „**Фотограф-портретист Я. В. Соколов. Михайловская 87, ул. Кирпичной**“. 8,5X14. დედანი.
41. დავით არსენიშვილი მეგობრებთან (ცენტრში) გრამაფონს უსმენს.
[1923 წ.]. 13,5X8,5. დედანი.
42. დავით არსენიშვილი ძველებურ სავარძელთან.
[1923 წ.]. 14X9. დედანი.
43. დავით არსენიშვილი მარჯვნიდან პირველი.
უთარილო. 14X9,5. დედანი.
44. დავით არსენიშვილი წიგნების კარადის ფონზე.
უთარილო. 12X9. დედანი.
45. დავით არსენიშვილი და ფრანგული თეატრის მსახიობი გაბრიელ კრომოლსკი.
1933 წ. მოსკოვი. მსოფლიო თეატრის ოლომპიადა. 11X15,5. დედანი.
46. დავით არსენიშვილი და ფრანგული თეატრის მსახიობი გაბრიელ კრომოლსკი.
1933 წ. მოსკოვი მსოფლიო თეატრის ოლომპიადა. 11,5X17. ფოტოასლი.
47. დავით არსენიშვილი (მარჯვენა ქვედა კუთხეში იატაკზე ზის) კ. სტანისლავსკის სტუდიაში.
1936 წ. 12X9. დედანი.
48. დავით არსენიშვილი (მარჯვენა ქვედა კუთხეში იატაკზე ზის) კ. სტანისლავსკის სტუდიაში.
უთარილო. 1936 წ. 10X17,5. ფოტოასლი.
49. დავით არსენიშვილის პორტრეტი.
უთარილო. 12X9. დედანი.
50. დავით არსენიშვილი გაზეთის კითხვის დროს წიგნის საერთაშორისო გამოფენაზე მოსკოვში.
1932 წ. 11X8. დედანი.
51. დავით არსენიშვილი გაზეთის კითხვის დროს წიგნის საერთაშორისო გამოფენაზე მოსკოვში.
1932 წ. 17X12. ფოტოასლი.
52. დავით არსენიშვილის გრაფიკული პორტრეტის ფოტოასლი. ავტორი პავლე (აველია) პეტრენკო.
1934 წ. 16X11. ფოტოასლი.
53. ალი არსენიშვილი (ზემოდან პირველი რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ პირველი), დავით არსენიშვილი (დავით არსენიშვილის გვერდით).
უთარილო. 11X16,5. ფოტოასლი.
54. დავით არსენიშვილის პორტრეტი, მარჯვენა ქვედა კუთხეში წარწერით: „უკანასკნელი სახსოვარი ჩემს დავითს. შალვა ფურცელაძე.“

1963 წ. ქ. თბილისი 29X23,5. დედანი.

55. დავით არსენიშვილი ნ. გოგოლისადმი მიძღვნილ გამოფენაზე (დგას III რიგში მარჯვნიდან მარცხნივ მესამე).
უთარილო. 17X23. დედანი.

56. დავით არსენიშვილი წიგნის საერთაშორისო გამოფენაზე მოსკოვში.
1932 წ. 24X17. დედანი.

57. ლადო გუდიაშვილის პორტრეტი.
უთარილო. 21,5X16,5. ფოტო გახუნებულია. დედანი.

58. დავით და მარგარიტა არსენიშვილები.
უთარილო. 18X12. დედანი.

59. დავით და მარგარიტა არსენიშვილები.
უთარილო. 18X12. დედანი.

60. დავით და მარგარიტა არსენიშვილები.
უთარილო. 29,5X23. რეტუშირებული ფოტოასლი.

61. დავით და მარგარიტა არსენიშვილები.
უთარილო. 30X24. რეტუშირებული ფოტოასლი.

62. დავით არსენიშვილის დისშვილის დოდო არსენიშვილის ბავშვობის ფოტო.
უთარილო. 9X13. დედანი.

63. დავით არსენიშვილის დისშვილის დოდო არსენიშვილის ბავშვობის ფოტო. ზის ბენჯის გადასაფარებელზე.
უთარილო. 24X18. დედანი.

64. დავით არსენიშვილის დისშვილის დოდო არსენიშვილის ბავშვობის ფოტო. ბაფთიან ბიჭსა და ქალბატონს შორის.
უთარილო. 18X24. დედანი.

65. დავით არსენიშვილის დისშვილის დოდო არსენიშვილის ბავშვობის ფოტო. ზის გოგონებთან ერთად.
უთარილო. 11X7,5. დედანი.

66. დავით არსენიშვილის დისშვილის დოდო არსენიშვილის ბავშვობის ოვალური ფოტო. ზის ბენჯის გადასაფარებელზე.
უთარილო. 14X10. დედანი.

67. დავით არსენიშვილის დისშვილის დოდო არსენიშვილის ბავშვობის ფოტო. მრგვალი ფოტო. ზის ქალბატონებს შორის.
უთარილო. 10X10. დედანი.

68. ნინო ექვთიმეს ასული აბზიანიძე-ნაკაშიძისა.
უთარილო. 27X20,5. ფოტოასლი.

69. დავით არსენიშვილის დედის ძმა კირილე აბზიანიძე მეუღლით.
1906 წ. მარტი. 20X25. დედანი.

70. უცნობი მამაკაცის პორტრეტი, სავარაუდოდ, დავით არსენიშვილის ბაბუა დედის მხრიდან ექვთიმე აბზიანიძე.
უთარილო. 23X17. ფოტოასლი.

71. ზოსიმე აბზიანიძე.
უთარილო. სურათი ჩასმულია მუყაოს მხატვრულ ჩარჩოში. 18X12.

72. დავით და თამარ არსენიშვილები.
უთარილო. 14X11. დედანი.
- 72/1. დავით და თამარ არსენიშვილები.
უთარილო. 14X11. დედანი.
- 72/2. დავით არსენიშვილის და თამარ ილიას ასული არსენიშვილი.
უთარილო. 14X11. დედანი.
- 72/3. დავით და თამარ არსენიშვილები.
უთარილო. 14X11. დედანი.
- 72/4. დავით და თამარ არსენიშვილები.
უთარილო. 14X18. ფოტოასლი.
- 72/5. დავით არსენიშვილის და თამარ ილიას ასული არსენიშვილი.
15X12. ფოტოასლი.
73. ილია არსენიშვილი და პრისკილე ექვთიმეს ასული შვილებთან ერთად: ალი (ცენ-ტრში), თამარი (მარჯვნივ), ქსენია (მარცხნივ), ალექსანდრე და მარგარიტა.
1903 წ. ქუთაისი. 22X30. დედანი.
- 73/1. ილია არსენიშვილი და პრისკილე ექვთიმეს ასული შვილებთან ერთად: ალი (ცენ-ტრში), თამარი (მარჯვნივ), ქსენია (მარცხნივ), ალექსანდრე და მარგარიტა.
1903 წელი. ქუთაისი. უკანა მხარეს წარწერით: „საყვარელ რძალს და ნ. ფოტინეს სანახსოვროთ. გადაღებულია 1903 წელს ქრისტესობის თვეში.“ 25X30. დედანი.
74. დავით არსენიშვილის თანამებრძოლები ანდრეი რუბლიოვის მუზეუმის დააარსების საქმეში: ნატალია ალექსის ასული დემინა და ირინა ივანოვა.
უთარილო. 12,5X14. ფოტოასლი.
75. დავით არსენიშვილი სტუმრად ლადო გუდიაშვილთან მოსკოვში. მარცხნიდან მარ-ჯვნივ ნინო გუდიაშვილი და არსენიშვილი მარჯვნიდან პირველი.
უთარილო. 1,5X17,5. ფოტოასლი.
76. დავით არსენიშვილი სტუმრად ლადო გუდიაშვილთან მოსკოვში. მარცხნივ ლადო გუდიაშვილისგან ხელოვნებათმცოდნე იური კამენსკი.
უთარილო. 12X18. ფოტოასლი.
- 76/1. დავით არსენიშვილი სტუმრად ლადო გუდიაშვილთან მოსკოვში. მარცხნივ ლადო გუდიაშვილისგან ხელოვნებათმცოდნე იური კამენსკი.
უთარილო. 10X15. ფოტოასლი.
- 76/2. დავით არსენიშვილი სტუმრად ლადო გუდიაშვილთან მოსკოვში. მარცხნივ ლადო გუდიაშვილისგან ხელოვნებათმცოდნე იური კამენსკი.
უთარილო. 12X18. ფოტოასლი.
77. ა. ი. სუმბათაშვილ-იუჟინის დაკრძალვაზე. გამოდის მსახიობი მასალიტინოვა. ნო-ვოდევჩის პანთეონი. მარცხნიდან მარჯვნივ პირველი ალი არსენიშვილი, მეორე რიგში და-ვით არსენიშვილი.
1928 წ. მოსკოვი. 12X16. ფოტოასლი.
78. დავით არსენიშვილი მეორე რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ პირველი.
უთარილო. 11,5X17,5. ფოტოასლი.
79. ანდრონიკოვის მონასტრის, მაცხოვრის სახელობის ტაძართან: მარცხნიდან მარ-ჯვნივ: ი. ა. ვასილევა-ივანოვა, ნ. ა. დემინა, აკადემიკოსი დ. ი. ლიხაჩოვი, დავით არსენიშ-ვილი.
1952 წ. 14 სექტემბერი. 20X14. ფოტოასლი.

80. დავით არსენიშვილი ცენტრში ანდრეი რუბლიოვის მუზეუმის თანამშრომლებთან (მარცხნიდან მეორე ნატალია ალექსანდრეს ასული დემინა).
უთარილო. 13X18. დედანი.

81. დავით არსენიშვილი ანდრეი რუბლიოვის სახელობის რუსული ხელოვნების მუზეუმის გახსნის დღეს. დგას მარჯვენა კუთხეში.
1960 წ. 21 სექტემბერი. ფოტო გრუმგრჟიმაილოს საოჯახო არქივიდან. 12X17. ფოტოას-
ლი.

82. დავით არსენიშვილი მარცხნიდან პირველი, ანდრეი რუბლიოვის სახელობის რუსული ხელოვნების მუზეუმში დამთვალიერებელთან ერთად.
[1960-იანი წლები] 10X7. დედანი.

83. დავით არსენიშვილი (ზედა რიგში მარჯვნიდან პირველი) ანდრეი რუბლიოვის სახელობის რუსული ხელოვნების მუზეუმში დამთვალიერებელთან ერთად.
[1960-იანი წლები]. 12X18. დედანი.

84. დავით არსენიშვილი ანდრეი რუბლიოვის სახელობის ძველი რუსული ხელოვნების მუზეუმის თანამშრომლებთან ერთად.
[1960-იანი წლები]. 12,5X8. დედანი

85. დავით არსენიშვილი მარცხნიდან პირველი, მოსკოვში ანდრონიკოვის მონასტრის ეზოში უცხოელ სტუმრებთან ერთად.
უთარილო. 11X10,5. დედანი.

86. დავით არსენიშვილის პორტრეტი, ანდრეი რუბლიოვის სახელობის ძველი რუსული მუზეუმის გახსნის დღეს.
1960 წ. 21.IX 15X12. ფოტოასლი რეტუშირებული.

87. მამადავითის მონასტერი და სახლი, სადაც დავით არსენიშვილის ინიციატივით განთავსდა საქართველოს ლიტერატურის მუზეუმი.
უთარილო. 21X16. ფოტოასლი.

88. ქალაქ ასტრახანის ლითოგრაფიული გამოსახულება.
უთარილო. 12X16. ფოტოასლი.

88/1. ქალაქ ასტრახანის კრემლი.
უთარილო. 12X16. ფოტოასლი.

89. ასტრახანის მონასტრის მუზეუმის ექსპონატი. ქართლ-კახეთის მეფის თეიმურაზ II-ის ლითოგრაფიული გამოსახულება.
უთარილო. 17X11,5. ფოტოასლი.

90. ასტრახანის მონასტრის მუზეუმის ექსპონატი. ქართლის მეფე ვახტანგ VI.
უთარილო. 17X11,5. ფოტოასლი.

91. ასტრახანის მონასტრის მუზეუმის ექსპონატი უცნობი ბატონიშვილი.
[1952 წ.] 17X11,5. ფოტოასლი

92. ასტრახანის მუზეუმის ექსპოზიციის ნაწილი, შევსებულია ახალი მასალებით დავით არსენიშვილის მიერ.
1952 წ. ივლისი. 11X17 ფოტოასლი.

93. ასტრახანის მიძინების ტაძარი, სადაც დაკრძალულები არიან ვახტანგ VI და თეიმურაზ II.
1952 წ. 17X11,5. ფოტოასლი.

94. მაცხოვრის იერუსალიმში შესვლა. ფერწერული ხატი. რუსული სკოლა.
უთარილო. 14X9. ფოტოასლი.

99. მოსკოვის ანდრონიკოვის მონასტრის მაცხოვრის სახელობის ტაძარი.
უთარილო. 16X13. ფოტოასლი.
- 99/1. მოსკოვის ანდრონიკოვის მონასტრის მაცხოვრის სახელობის ტაძარი.
უთარილო. 16X13. ფოტოასლი.
100. მოსკოვის ანდრონიკოვის მონასტერი.
უთარილო. 17X12,5. ფოტოასლი.
101. მოსკოვის ანდრონიკოვის სამონასტრო ანსამბლი.
უთარილო. 11X17. ფოტოასლი.
- 101/1. მოსკოვის ანდრონიკოვის სამონასტრო ანსამბლი.
უთარილო. 11X17. ფოტოასლი.
102. პეტროგრადი. რომანოვთა ტაძარი.
უთარილო. 17X11. ფოტოასლი.
103. უცნობი მამაკაცის პორტრეტი. სავარაუდოდ, ალი არსენიშვილი.
უთარილო. ფანქარი. უცნობი მხატვარი. 22X15,5. ესკიზი.
104. დავით არსენიშვილის ძმა ალი არსენიშვილი. ფოტოზე არის მემორიალური წარწერა რუსულად. ფოტოს საუკეთესო დღეების მოსაგონრად უძღვნის უცნობ პირს.
1913 წ. 30. IV. 23X14. ფოტოასლი.
105. დავით არსენიშვილის ძმა, კრიტიკოსი ალი (ალექსანდრე) არსენიშვილი.
1909 წ. 3 ივლისი. ბაქო. 11X18. ფოტოასლი.
- 105/1. დავით არსენიშვილის ძმა, კრიტიკოსი ალი (ალექსანდრე) არსენიშვილი.
1909 წ. 3 ივლისი. ბაქო. 11X18. ფოტოასლი.
106. დავით არსენიშვილის ძმა ალი არსენიშვილი.
1909 წ. 3 ივლისი. ბაქო. 17X11. ფოტოასლი.
107. ფოტო – უცნობი პირები.
უთარილო. 12X18. ფოტოასლი.
108. დავით არსენიშვილის სტატიის პირველი გვერდის ფოტოასლი, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალში „რიზონსი“.
1959 წ. ოჯახი. 11,5X9. ფოტოასლი.

შემაჯავებთი და სამეცნიერო მასალა

109. დავით არსენიშვილი. ი. ენიკოლოპოვი – „გრიბოედოვი საქართველოში“. კრებუ-
ლი.
1929 წ. თბილისი. საქართველოს სათეატრო მუზეუმის გამოცემა. ქართულ-რუსულ ენ-
ებზე. 48 გვ. თან ერთვის გამოფენის კატალოგი. პირველ გვერდზე გამოსახულია ლადო
ქუთათელაძის კსელოგრაფია. 48 გვ. დედანი.
110. დავით არსენიშვილის წერილი ჟურნალი „ორიზონს“-ში. „**Le muse Andrei Rou-
blev a Moscou**“.
1959 წ. ნაბეჭდი. 4 ფ.
- 110/1. დავით არსენიშვილის წერილი ჟურნალი „ორიზონს“-ში. „**Le muse Andrei
Roublev a Moscou**“.
1959 წ. ნაბეჭდი. 4 ფ.
111. დავით არსენიშვილის წერილი „ვეფხისტყაოსნის“ მთარგნელი თბილისში“. გაზ.
„თბილისი“.
1960 წ. 19 ივნისი. ნაბეჭდი.

112. დავით არსენიშვილის ავტობიოგრაფიული ცნობები.
უთარილო. ხელნაწერი. 2 ფ.

112/1. დავით არსენიშვილის ავტობიოგრაფიული ცნობები სურათით.
უთარილო. ნაბეჭდი. 1 ფ.

112/2. დავით არსენიშვილის ავტობიოგრაფიული ცნობები.
უთარილო. რუსულ ენაზე. ნაბეჭდი. 2 ფ.

113. საქართველოს სახელმწიფო არქივის მიერ თეატრალური მუზეუმისთვის გადაცემულ ექსპონატთა ნუსხა. შეტანილია 123 ექსპონატი. საქალაქის, რომელშიც დოკუმენტია შენახული აქვს მინაწერი აღნიშნული ექსპონატები დ. არსენიშვილმა თითქოს გაფლანგა და დაკარგა.
უთარილო. ნაბეჭდი. 4 ფ.

114. მიღება-ჩაბარების აქტი (ოქმი) სათეატრო მუზეუმის გამგეს დ. არსენიშვილსა და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის დირექტორის მოადგილეს ი. სონლუ-ლაშვილს შორის გრიბოედოვის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამართულ გამოფენაზე გადატანილ ექსპონატებთან დაკავშირებით.
1929-1935 წ.წ. ხელნაწერი. ? ფ.

115. საქართველოს სათეატრო მუზეუმის მიერ თბილისის მუნიციპალური მუზეუმისათვის გადაცემული ექსპონატების ნუსხა ა. გრიბოედოვის სახლ-მუზეუმის მოსაწყობად. ჩამოთვლილია 73 ექსპონატი.
1929 წ. 15.XII. ავტოგრაფი რუსულ ენაზე. 2 ფ.

116. დავით არსენიშვილის მიერ მუზეუმების დასაარსებლად ჩატარებული სამუშაოები. დეტალურად აღწერილია განხორციელებული ღონისძიებები თეატრალური და ლიტერატურული მუზეუმების დასაარსებლად. აქვე ჩამოთვლილია გამოფენები.
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 5 ფ.

117. დავით არსენიშვილის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომების სია.
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 3 ფ.

118. დავით არსენიშვილის მიერ წაკითხული მოხსენებები და ლექციები.
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 ფ.

119. საქართველოს სახელმწიფო არქივის მიერ სათეატრო მუზეუმისათვის გადაცემულ ექსპონატთა ნუსხა. შეტანილია სულ 195 ექსპონატი.
1929 წ. [დავით არსენიშვილის ავტოგრაფი]. ფანქარი. 4 ფ.

პირადი დოკუმენტაცია

120. დავით არსენიშვილის მონაწილეობა. საბჭოთა კავშირის მხატვართა კავშირი.
უთარილო. ნაბეჭდი. დავით არსენიშვილის ფოტო. 4 ფ.

121. დავით არსენიშვილის მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატის ბილეთი ფოტოთი.
უთარილო. ნაბეჭდი. 2 გვ.

122. დავით არსენიშვილის საპენსიო ნიგნაკი.
უთარილო. ნაბეჭდი. 4 გვ.

122/1. დავით არსენიშვილის სოციალური მხარდაჭერის საბუთი.
1964 წ. ნაბეჭდი. 1 გვ.

123. დავით არსენიშვილის პასპორტი ფოტოთი.
1957 წ. 5 აპრილი. ნაბეჭდი. თან ახლავას პლასტიკატის ყდა. 14 გვ.

ეპისტოლარული მემკვიდრეობა

არსენიშვილის წერილები

124. დავით არსენიშვილის წერილი მოქანდაკე ალექსანდრე თარხან-მოურავისადმი, მასზედ რომ მან სათეატრო მუზეუმს გადასცა ილია ჭავჭავაძის ბიუსტი, რომელსაც გამოფენის შემდეგ მუზეუმი შეიძენს.

1927 წ. ავტოგრაფი. მელანი. 1 ფ.

125. დ. არსენიშვილის მადლობის წერილი ალექსანდრე თარხან-მოურავისადმი, მასზედ რომ, მან სათეატრო მუზეუმს გადასცა დასაცავად ბიუსტი ვ. ალექსი-მესხიშვილი შეშლილის როლში.

1927 წ. ავტოგრაფი. მელანი.

წერილები არსენიშვილისადმი

126. ეკატერინე ობულენსკაიას წერილი დავით არსენიშვილისადმი, უხდის განსაკუთრებულ მადლობას გამოჩენილი გულისხმიერებისათვის, რომელიც ახლდა ანდრეი რუბლიოვის სახელობის ძველი რუსული კულტურის მუზეუმის დათვალიერებისას.

1955 წ. 30. XII. ავტოგრაფი. მელანი. 1 ფ.

127. ბრიტანეთის ელჩი მოსკოვში, ქალბატონი რობერტსი, დედოფალ ელისაბედ II-ის დაბადების დღესთან დაკავშირებით დავით არსენიშვილსა და ქალბატონ არსენიშვილს ეპატიჟება საელჩოში საზეიმო მიღებაზე.

უთარილო. ნაბეჭდი. 1 ფ.

127/1. ბრიტანეთის ელჩი მოსკოვში, ქალბატონი რობერტსი, დედოფალ ელისაბედ II-ის დაბადების დღესთან დაკავშირებით დავით არსენიშვილსა და ქალბატონ არსენიშვილს ეპატიჟება საელჩოში საზეიმო მიღებაზე.

უთარილო. ავტოგრაფი. 1 ფ. 1 კ.

127/2. ბრიტანეთის ელჩი მოსკოვში, ქალბატონი რობერტსი, დედოფალ ელისაბედ II-ის დაბადების დღესთან დაკავშირებით დავით არსენიშვილსა და ქალბატონ არსენიშვილს ეპატიჟება საელჩოში საზეიმო მიღებაზე.

უთარილო. ფოტოასლი.

128. ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის 183 წლისთავთან დაკავშირებით აშშ-ის ელჩი და ქალბატონი ტომსონი დავით არსენიშვილს მეუღლესთან ერთად ინვევენ საელჩოში საზეიმო მიღებაზე.

უთარილო. ნაბეჭდი. 1 ფ.

128/1. ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის 183 წლისთავთან დაკავშირებით აშშ ელჩი და ქალბატონი ტომსონი დავით არსენიშვილს მეუღლესთან ერთად ინვევენ საელჩოში საზეიმო მიღებაზე.

უთარილო. წერილის ფოტოასლი. 1 ფ.

129. დავით არსენიშვილს მოსანწვევი, ინგლისის დედოფლის ელისაბედ II-ის დაბადების დღის აღსანიშნავად. ინგლისის ელჩი და ქალბატონი რეილი სთხოვენ მოზრძანებას საზეიმო სადილზე.

უთარილო. მოსკოვი. ნაბეჭდი. ინგლისურ ენაზე (მოსანწვევს თან ახლავს კონვერტი, ბეჭდური რუსული თარგმანი). 3 ფ.

130. ბრიტანეთის ელჩი და ქალბატონი რეილი ბატონ დავით არსენიშვილს და ქალბატონ არსენიშვილს ინვევენ საელჩოში საზეიმო მიღებაზე.

უთარილო. მოსკოვი. ავტოგრაფი. ნაბეჭდი. ინგლისურ ენაზე. 1 ფ.

131. ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით საფრანგეთის იუსტიციის მინისტრი და ქალბატონი ჰალერი დავით არსენიშვილს მეუღლესთან ერთად საზეიმო მიღებაზე ეპატიჟებიან.

უთარილო. მოსკოვი. ნაბეჭდი. 1 ფ.

131/1. ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით საფრანგეთის იუსტიციის მინისტრი და ქალბატონი ჰალერი დავით არსენიშვილს მეუღლესთან ერთად საზეიმო მიღებაზე ეპატიჟებიან.

უთარილო. მოსკოვი. ფოტოასლი.

132. საფრანგეთის ელჩი მოსკოვში დავით არსენიშვილს საზეიმო მიღებაზე ეპატიჟება.

1956 წ. ავტოგრაფი ფრანგულ ენაზე. ნაბეჭდი. 1 ფ.

132/1. საფრანგეთის ელჩი მოსკოვში დავით არსენიშვილს საზეიმო მიღებაზე ეპატიჟება.

1956 წ. ავტოგრაფი ფრანგულ ენაზე. ფოტოასლი.

133. საფრანგეთის ელჩი მოსკოვში და ქალბატონი მაურიკ დეჟანი, დავით არსენიშვილს ეროვნული დღესასწაულის აღსანიშნავად საელჩოში ეპატიჟებიან.

1958 წ. 14 ივლისი. ავტოგრაფი. ფრანგულ ენაზე. 1 ფ.

133/1. საფრანგეთის ელჩი მოსკოვში და ქალბატონი მაურიკ დეჟანი, დავით არსენიშვილს ეროვნული დღესასწაულის აღსანიშნავად საელჩოში ეპატიჟებიან.

1958 წლის 14 ივლისი. ავტოგრაფი ფრანგულ ენაზე. 10X15. ფოტოასლი.

134. სოფია ფლეისჩეას წერილი დავით არსენიშვილისადმი რუმინეთიდან. მოიკითხვენ მეგობრები და სთხოვს საპასუხო წერილში მოუთხროს საკუთარი საქმიანობის შესახებ.

1963 წ. 01.11. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 2ფ. 1 კ.

135. რიურიკ ივანეს (დ. არსენიშვილის დისშვილი) წერილი დავით არსენიშვილისადმი. პასუხობს 1977 წლის მილოცვას, ჰპირდება, რომ თუ მისი ორი ახალი წიგნი გამოვა აუცილებლად გაუგზავნის.

1977 წლის 16 იანვარი. მოსკოვი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 ფ. 1 კ.

136. ნ. მესხის ბარათი ი. ზარდალაშვილისადმი. აცნობებს, რომ ყველა მასალა კ. მესხის შესახებ თეატრის მუზეუმისთვის გადასცა დავით არსენიშვილს 1927 წელს. ბარათში ციტირებულია კ. მესხის შეფასება სუმბათაშვილის „ლალატში“ ერმოლოვას თამაშის შესახებ. აგრეთვე, ბალმონტისა და სუმბათაშვილისადმი მიძღვნილი სიტყვების ფრაზები.

1934 წ. 19. XI. ავტოგრაფი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ფ.

137. წერილი ვალიკოსადმი (?), მასზედ რომ მას მუზეუმის 12 ექსპონატი ერიცხება.

უთარილო. ავტოგრაფი. ხელმოწერა გაურკვეველია. სავარაუდოდ, უნდა ეკუთვნოდეს სათეატრო მუზეუმის ერთ-ერთ დირექტორს (სტურუა). მელანი. 1 ფ.

138. ირინა, მარტა, ნიკოლოზ ივანოვების სამძიმრის დეპეშა დავით არსენიშვილის გარდაცვალების 25 წლისთავთან დაკავშირებით

1988 წ. ნაბეჭდი. 1 ფ.

140. ევგენი ოსტეროვის სამძიმრის დეპეშა დავით არსენიშვილის გარდაცვალებიდან 25 წლისთავთან დაკავშირებით.

1988 წ. ნაბეჭდი. 1 ფ.

141. ანა ლოვშის წერილი დავით არსენიშვილის დის მარიამისადმი. უსამძიმრებს დავითის გარდაცვალებას და აცნობებს, რომ მას გადასცა ქმრის დ. ერმაკოვის მთელი ფოტოკოლექცია, იმისათვის რომ სიბერის წლებში მიეღო თანხა. სთხოვს შეუნახოს აღნიშნული კოლექცია და პირველივე შესაძლებლობის შემთხვევაში უკან წაიღებს.

1963 წ. I. XII. ავტოგრაფი. მელანი. 1 ფ.

142. როზემარი ედმონდის წერილი დავით არსენიშვილისადმი. ავტორი ჰპირდება, რომ შეუძენს წამალს ასთმის სამკურნალოდ, ამასთანავე იხსენებს ანდრეი რუბელიოვის სახელობის მუზეუმში გატარებულ სასიამოვნო წუთებს.

1962 წ. 14. 01. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 ფ.

143. წერილი გერმანულ ენაზე.
უთარილო. ავტოგრაფი. 2 ფ.

144. ედუარდ თადენის (**Edward Thaden**) წერილი დავით არსენიშვილისადმი ამერიკის შეერთებული შტატებიდან. აცნობებს, რომ წამლები საბჭოთა მესაზღვრეებმა უკან დააბრუნეს.
1963 წ. 23. 01. ავტოგრაფი. 1 ფ.

145. ირინა ივანოვას წერილი დავით არსენიშვილს დისშვილის, დოდო (ზეინაბ) არსენიშვილისადმი. ავტორი ითხოვს რეცენზიების გაგზავნას დავით არსენიშვილის შესახებ, ნაწილი მიუწოდებია ვახტანგ ბერიძესა და ეთერ თოფურძეს, აქვს ასევე ნოდარ დუმბაძის რეცენზია. ავტორის თქმით, აღნიშნული მასალა ფრიად დაეხმარება ლეო ბაქრაძის ფილმს „მრავალჟამიერი“ საკავშირო ეკრანზე გასვლაში.
1981 წ. 24. 02. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 ფ. 1 კ.

146. ირინა ივანოვას წერილი დავით არსენიშვილისადმი, მოუთხოვს მუზეუმის ამბებს, მათ შორის აცნობებს რომ გამოფენა იტალიაში ჩატარდება. აღნიშნავს, რომ საგამოფენო დარბაზების რაოდენობამ მოიმატა ექვსამდე. სთხოვს ხშირად გაუგზავნოს წერილი. თან ურთავს მამას ნახატს. ფეხებშეკრული ცხენები, წარწერით „M. II.“
უთარილო. ავტოგრაფი. 3 ფ. 1 კ.

147. ედუარდ თადენის წერილი ამერიკის შეერთებული შტატებიდან დავით არსენიშვილისადმი. უგზავნის გართულებული ასთმის სამკურნალო წამლებს.
1962 წ. 9. XII. რუსულ ენაზე. 28. I. 1963 წ. იგივე შინაარსის ინგლისურ ენაზე. ავტოგრაფი, ნაბეჭდი. 2 ფ.

148. ირინა ივანოვას წერილი დოდო არსენიშვილისადმი (დავით არსენიშვილის დისშვილი), აცნობებს რომ მუშაობს დავით არსენიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ ალბომზე, რომელიც 1967 წელს უნდა გამოსულიყო. ამასთანავე ატყობინებს, რომ სამუზეუმო ექსპოზიციის ნაწილი მიემგზავრება უცხოეთში (ჰოლანდია, შვეიცარია, საფრანგეთი, იტალია, გერმანია).
უთარილო. ავტოგრაფი. 1 ფ.

149. წერილი დავით დოდო არსენიშვილისადმი. ავტორი ამბობს, რომ დავით არსენიშვილი სულიერად მათთანაა, თუმცა მის დანაკლისს განსაკუთრებით გრძნობენ, რადგან მუზეუმს კვლავ პრობლემები აქვს. ავტორის თქმით 1968 წელს იგეგმება დავით არსენიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ალბომის გამოცემა.
1965 წ. 24. 01. ავტოგრაფი. ხელნაწერი. მელანი. 1 ფ.

150. ირინა ივანოვას წერილი დოდო არსენიშვილისადმი. აცნობებს, რომ ფილმის ჩვენებას დავით არსენიშვილის შესახებ 25 ადამიანიდან მხოლოდ 10-12 დაესწრო, ამასთანავე, აცხადებს, რომ ფილმისადმი ინტერესი ძალიან დიდია, რის გამოც გადაწყვიტეს მისი ჩვენება ერმიტაჟსა და რუსულ მუზეუმში. ფილმი ძალიან მოეწონა აკადემიკოს დ. ს. ლიხაჩოვს. ავტორი თვლის, რომ ეს ფილმი არსენიშვილისადმი მაღლიერების გამოხატულებაა.
1981 წ. 6. IV. ავტოგრაფი. 2 ფ. 1 კ.

151. წერილი დოდო არსენიშვილისადმი. ავტორი ინიციალებით „ი. ა.“ აცნობებს, რომ მიხეილ ჩიქოვანს დავით არსენიშვილის მეგობრებმა ოლღა ვლადიმეროვნამ, მენშიკოვამ, პუსკინამ და ალექსანდრე დმიტრევამ გადასცეს ალი არსენიშვილს მთელი არქივი და მათ შორის მოგონებები. ავტორი უთითებს მიხეილ ჩიქოვანის მისამართსა და ტელეფონს და ითხოვს სასწრაფოდ ჩაიწერონ მიხეილისაგან მოგონებები ალი არსენიშვილის შესახებ, რადგან მ. ჩიქოვანი ძალიან ცუდადაა და შეიძლება მალე გარდაიცვალოს.
1981 წ. 3. 05. ავტოგრაფი. 1 ფ.

152. ირინა ივანოვას წერილი დოდო არსენიშვილისადმი. აცნობებს, რომ ჩაფიქრებულია მემორიალური დაფის გაკეთება დავით არსენიშვილის ბარელიეფური გამოსახულებით.
1969 წ. 9. 11. ავტოგრაფი. 1 ფ.

153. ირინა ივანოვას წერილის დოდო არსენიშვილისადმი. უსამძიმრებს ბიძის გარდაცვალებას და ამასთანავე აცნობებს, რომ მას გარდაეცვალა მამა. სთხოვს გაუგზავნოს დავით არსენიშვილის პორტრეტი.
1964 წ. 16. I. 1 ფ.

154. დავით არსენიშვილის წერილი „**Le musee Andrei Roublev a Moscow**“ დაბეჭდილი ჟურნ: „ორიზონს ვრილ“.
1959 წ. ნაბეჭდი. 146 ფ.

155. **„Центральный Музей древнерусской культуры и искусства имени Андрея Рублева“. Живопись XVI века.**
უთარილო. ნაბეჭდი. 1 ფ.

156. ასტრახანის მონასტრის მუზეუმის საგამოფენო დარბაზი მიძღვნილი რუსულ-ქართული ურთიერთობებისადმი.
უთარილო. 17X23,5. ფოტო.

პრესა დავით არსენიშვილზე

157. Л. Гогоберизе „Не ради славы...“. გაზ. Вечерный Тбилиси 1981 წ. 7. II ნაბეჭდი.

158. Т. Чантуриа. „Человек у белой стены“. გაზ. Известия . 1987 წ. 27.03. ნაბეჭდი.

159. Академик Д. Лихачев. „Беседы о далеком и близком“. გაზ. Известия, №236 1986 წ. 24. VIII. ნაბეჭდი.

160. ტ. ჭანტურია. „კაცი თეთრი კედლის ფონზე“. გაზ. კომუნისტი. 1987 წ. 31 მარტი. ნაბეჭდი.

161. ტ. ჭანტურია „შორეული და ახლობელი სამყარო. იქმნება რუბლიოვის სახელობის ძველი რუსული კულტურისა და ხელოვნების ცენტრალური მუზეუმი“. გაზ. „იზვესტია“. 1987 წ. 14. VII. ნაბეჭდი.

162. ა. ნ. იაკოვლევი თბილისში. 25. II. 1989 წ. ნაბეჭდი.

163. ტ. ჭანტურია შორეული და ახლობელი სამყარო. გაზ. იზვესტია. 1987 წ. 14 ივლისი 1987 წ. ნაბეჭდი.

164. დიალოგი გრძელდება. საქინფორმი. თბილისი. ნაბეჭდი. 1 ფ.

